სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/56

ქ. თბილისი

23 ოქტომბერი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის უფროსის ხათუნა ჩხიკვიშვილის 2023 წლის 26 სექტემბრის №0001239576 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 23 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**